გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა
საქართველოს სახელით

საქმე №სსკ- 01-25
სსკ-01-25 ა-----ე

13 თებერვალი, 2025 წელი,
თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატამ
შემდეგი შემადგენლობით:

თავმჯდომარე: გიზო უბილავა (მომხსენებელი),
მოსამართლეები: მამუკა ვასაძე, გენადი მაკარიძე

საქმის განხილვის ფორმა - ზეპირი განხილვა

სხდომის მდივანი - მაია ჯინორია

საჩივრის ავტორი - თ. ა-ე

მოწინააღმდეგე მხარე – საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
მოწინააღმდეგე მახარის წარმომადგენლები - თ. ს--ე, ნ. მ--ე

გასაჩივრებული გადაწყვეტილება – საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის -- თებერვლის №1--- განკარგულების მე-2 პუნქტი

საჩივრის ავტორის მოთხოვნა – საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის -- თებერვლის №1--- განკარგულების მე-2 პუნქტის ბათილად ცნობა და საქართველოს უზენაეს სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენ კანდიდატის შერჩევის პროცედურაში მონაწილე კანდიდატად დარეგისტრირება

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატას 2025 წლის 11 თებერვალს საჩივრით მომართა თ. ა-ემ (შემდგომში - საჩივრის ავტორი), რომელმაც მოითხოვა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში-იუსტიციის

საბჭო) 2025 წლის -- თებერვლის №1--- განკარგულების მე-2 პუნქტის ბათილად ცნობა და საქართველოს უზენაეს სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენ კანდიდატის შერჩევის პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირება.

2. საჩივრის ავტორმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენ კანდიდატთა შერჩევის პროცედურაში. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის -- თებერვლის №1--- განკარგულებით, „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 34[1]-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 6 მაისის №1/41 გადაწყვეტილების (საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 იანვრის №1 დადგენილების დანართი 27) დანართი №1-ით განსაზღვრული დოკუმენტის-ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ სამედიცინო დასკვნის (ფორმა 100) წარუდგენლობის გამო (თ. ა-ის მიერ წარდგენილი 2024 წლის 15 თებერვალს გაცემული სამედიცინო დასკვნა) თ. ა--ეს უარი ეთქვა კანდიდატად დარეგისტრირებაზე.

3. საჩივრის ავტორის პრეტენზიები და მოთხოვნები:

3.1 საჩივრის ავტორის მოსაზრებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილების საფუძველს წარმოადგენს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1]-ე მუხლის მე-4 პუნქტის არასწორი გამოყენება.

3.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, საკონკურსო მოთხოვნების შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე ატვირთა ყველა საჭირო დოკუმენტაცია, მათ შორის - ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა 100), რომელიც გაცემული იყო 2025 წლის 24 იანვარს. აპლიკანტის პორტალზე რეგისტრაცია გაიარა 2025 წლის 31 იანვარს, 23:32 საათზე. მიუხედავად ამისა, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე 2025 წლის -- თებერვალს გამოქვეყნებულ №1--- განკარგულების მეორე პუნქტით, უარი ეთქვა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირებაზე, რის საფუძვლადაც მხოლოდ მითითებულია, რომ არ ატვირთულა ახალი სამედიცინო დასკვნა, რაც არ შეესაბამება რეალობას.

3.3 საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ ატვირთა სამედიცინო შემოწმების ახალი დასკვნა, მაგრამ ტექნიკური ხარვეზის გამო დოკუმენტი არ გაიხსნა, შესაბამისად, დოკუმენტი დახარვეზდა, რაც გახდა უარის თქმის საფუძველი, თუმცა შესაძლებელი იყო ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით შესაბამის პერსონალს დაუყოვნებლივ, ტელეფონის საშუალებით ეცნობებინა მისთვის ხარვეზის შესახებ. ფაქტია, რომ სამედიცინო შემოწმება დოკუმენტაციით დასტურდება.

3.4 საჩივრის ავტორის მოსაზრებით, უტყუარად მტკიცდება, რომ 2025 წლის 24

იანვარს სამედიცინო შემოწმება გაიარა, რის თაობაზეც საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ინფორმაცია მიაწოდა, შესაბამისად, უნდა მიეცეს შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღოს საქართველოს უზენაეს სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენ კანდიდატის შერჩევის პროცედურაში და წარსდგეს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მოსამართლე და არამოსამართლე წევრების წინაშე.

4. *საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში საქმისწარმოება:*

4.1 საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატამ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[3] მუხლის შესაბამისად და 2025 წლის 12 თებერვლის განჩინებით თ. ა--ის საჩივარი წარმოებაში მიიღო განსახილველად. ამავე განჩინებით, საჩივრის განხილვა 2025 წლის 13 თებერვალს დაინიშნა.

4.2 საკვალიფიკაციო პალატის სხდომაზე გამოცხადებულმა საჩივრის ავტორმა მხარი დაუჭირა წარმოდგენილ საჩივარს და მოითხოვა მისი დაკმაყოფილება. საჩივრის ავტორმა საკუთარი პოზიციის წარმოჩენისას სასამართლოს ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ მან სამედიცონო შემოწმება გაიარა 2025 წლის 24 იანვარს, რაც უტყუარად დასტურდებოდა მის მიერ წარმოდგენილი ფორმა 100 - ით.

4.3 საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ აპლიკანტის პორტალზე რეგისტრაცია გაიარა 2025 წლის 31 იანვარს 23:32 საათზე და შესაბამისად, მის მიერ ატვირთულ იქნა ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა 100), თუმცა პორტალის ხარვეზის გამო აღნიშნული დოკუმენტი არ გაიხსნა, რაც საქართველოს უზენაეს სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენ კანდიდატად დარეგისტრირებაზე უარის საფუძველი გახდა. ვინაიდან ხარვეზი არსებობდა და ეს იყო პორტალიდან გამოწვეული, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს შესაბამისი სამსახური უნდა დაკავშირებოდა მას და შეეტყობინებინა ხარვეზის შესახებ, რაც მის მიერ დაუყოვნებლივ იქნებოდა აღმოფხვრილი.

4.4 საჩივრის ავტორმა ზემოაღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით მოითხოვა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის -- თებერვლის №1--- განკარგულების მე-2 პუნქტის ბათილად ცნობა და საქართველოს უზენაეს სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენ კანდიდატის შერჩევის პროცედურაში მონაწილე კანდიდატად დარეგისტრირება.

5. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს პოზიცია

5.1 მოწინააღმდეგე მხარემ (იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ) წარმოდგენილი საჩივარი არ ცნო და განმარტა, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნის შესაბამისად დამტკიცებულ იქნა

კანდიდატის განაცხადის ფორმა, რომელიც შეიცავს თანდართული დოკუმენტების ჩამონათვალს, ერთ-ერთი ასეთი მოთხოვნაა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ სამედიცინო დასკვნა (ფორმა 100), რაც საჩივრის ავტორს არ წარმოუდგენია შესაბამისად, საჩივარი არის დაუსაბუთებელი და არა არსებობს მისი დაკმაყოფილების არც ფაქტობრივი და არც სამართლებრივი საფუძვლები, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განკარგულება გამოცემულია კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით და არ არსებობს მისი გაუქმების საფუძველი.

5.2 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლის განმარტებით, ჯანმრთელობის ცნობა აპლიკანტის მიერ ამ კონკურსის ფარგლებში არ იქნა წარმოდგენილი, დოკუმენტი რომელზეც საჩივრის ავტორი მიუთითებს, თითქოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს პორტალზე იყო ატვირთული და ხარვეზის გამო არ იხსნებოდა, ადმინისრატორის პორტალზე არ ჩანს. ამასთან, საქართველოს კანონმდებლობა აპლიკანტისათვის რაიმე ფორმით ხარვეზის გამოსწორებისათვის ვადის მიცემას ან ხარვეზის შეტყობინების ვალდებულებას არ ითვალისწინებს ამასთანავე, საბუთების წარდგენის ვადა იყო 31 იანვარი, აპლიკანტმა დოკუმენტები ატვირთა დაახლოებით ღამის 11:30 წუთზე.

5.3 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლის განმარტებით, პირველი განკარგულება, რომლითას საჩივრის ავტორს ზუსტად იგივე საფუძლით, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის წაუნდგენლობის გამო უარი ეთქვა კანდიდატად დარეგისტრირებაზე თ. ა--ეს არ გაუსაჩივრებია. საბჭოს ვებგვერდზე აღნიშნული განკარგულება გამოქვეყნდა 5 თებერვალს, შესაბამისად 5 თებერვალს აპლიკანტისათვის ცნობილი იყო საბჭოს განკარგულების შესაახებ, თუმცა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს შესაბამის სამსახურთან, პორტალის ხარვეზის შესახებ ინფორმირების მიზნით, მისი მხრიდან კომუნიკაცია არ განხორციელებულა.

5.4 საბჭოს წარმომადგენლის მოსაზრებით, ფორმალური მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის გამო არ არსებობდა აპლიკანტის საქართველოს უზენაეს სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენ კანდიდატის შერჩევის პროცედურაში მონაწილე კანდიდატად დარეგისტრირების საფუძველი, შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის -- თებერვლის №1--- განკარგულება აკმაყოფილებს კანონით დადგენის მოთხოვნებს და მისი გაუქმების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატამ მხარეთა მოსაზრებების მოსმენის, საქმეში წარმოდგენილი მასალების შესწავლის, აპლიკანტისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ადმინისტრატორის პორტალის დათვალიერებისა და გაანალიზების შედეგად დაასკვნა, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის -- თებერვლის №1--- განკარგულების მე-2 პუნქტის გაუქმებისა და საქართველოს უზენაეს სასამართლოს მოსამართლის

თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენ კანდიდატის შერჩევის პროცედურაში მონაწილე კანდიდატად დარეგისტრირების შესახებ საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

7. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის -- თებერვლის №1--- განკარგულებით, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 6 მაისის №1/41 გადაწყვეტილების (საქართველოს იუტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 იანვრის №1 დადგენილების დანართი №27) დანართი 1-ით განსაზღვრული დოკუმენტის ჯანმრთელობის შესახებ ცნობის (ფორმა 100) წარუდგენლობის გამო, საჩივრის ავტორს უარი ეთქვა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენ კანდიდატთა შერჩევის პროცედურაში მონაწილე პირად დარეგისტრირებაზე.

8. განსახილველ საქმეში საჩივრის ავტორი სადავოდ ხდის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის -- თებერვლის №1-- განკარგულების მე-2 პუნქტის კანონიერებას და აღნიშნავს, რომ მან იუსტიციის უმაღლეს საბჭოს პორტალზე ატვირთა კანონით გათვალისწინებული დოკუმენტები, მათ შორის, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა (ფორმა 100), რაც ტექნიკური ხარვეზის გამო არ გაიხსნა, შესაბამისად, უკანონოა საბჭოს უარი კანდიდატად მის რეგისტრაციაზე.

9. მოცემულ შემთხვევაში, საკვალიფიკაციო პალატის კვლევის საგანია „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1]-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ კანონის მოთხოვნათა დაცვით უთხრა თუ არა საჩივრის ავტორს უარი საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენ კანდიდატად დარეგისტრირებაზე.

10. ორგანული კანონის 34[1]-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, *„საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო განცხადებების მიღების ვადის ამოწურვიდან 5 სამუშაო დღის ვადაში განიხილავს შერჩევის პროცედურაში მონაწილე პირთა განცხადებებსა და თანდართულ დოკუმენტებს. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს გადაწყვეტილებას პირის კანდიდატად დარეგისტრირების შესახებ, თუ იგი აკმაყოფილებს მოსამართლის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და მას ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით, სრულყოფილად აქვს წარდგენილი განცხადება და თანდართული დოკუმენტები“.*

11. ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, *„საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ადგენს პირის მიერ შერჩევის პროცედურაში მონაწილეობისათვის წარსადგენი განაცხადების ფორმას და თანდართული დოკუმენტების ნუსხას. პირის მიერ წარდგენილი განცხადება და დოკუმენტები (მათ შორის, ავტობიოგრაფია) უნდა შეიცავდეს სათანადო ინფორმაციას მის მიერ მოსამართლის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაკმაყოფილების თაობაზე, აგრეთვე, პირის თანხმობას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მის შესახებ ინფორმაციის (მათ შორის, პირის პერსონალური მონაცემების) ამ კანონის 34[2]-ე*

მუხლით დადგენილი წესით მოძიებაზე/გადამოწმებაზე და საქართველოს პარლამენტისათვის გადაცემა გასაჯაროვებაზე“.

12. იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ორგანული კანონის ზემოაღნიშნული ნორმების მოთხოვნათა შესაბამისად, 2019 წლის 6 მაისის №1/41 გადაწყვეტილებით (დანართი №1) დაამტკიცა კანდიდატის განაცხადის ფორმა, სადაც წარსადგენ დოკუმენტთა ნუსხაში მიუთითა, რომ კანდიდატმა უნდა წარადგინოს ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ სამედიცინო დასკვნა (ფორმა 100).

13. განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალების, აპლიკანტისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ადმინისტრატორის პორტალის დათვალიერებისა და შესწავლისას ირკვევა, რომ ადმინისტრატორის პორტალზე შესაბამის გრაფაში ჩანს სამი ველი, რომლის გახსნისას ატვირთულია ორი ჯანმრთელობის დამადასტურებელი - 2020 წლის 20 ნოემბერს და 2024 წლის 15 თებერვალს გაცემული ცნობა (ფორმა 100), ხოლო მესამე ველში შესვლისას არანაირი დოკუმენტი არ ჩანს, ასევე განმცხადებლის პორტალზე ჩანს ველი რომელიც არ იხსნება. ამასთან მას არ გადაუმოწმებია პორტალზე ატვირთული დოკუმენტები და განაცხადის გაგზავნამდე სამედიცინო ცნობა (ფორმა 100) იყო თუ არა ატვირთული არ შეუმოწმებია. ორგანული კანონის 34^1-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად კი, პირი კანდიდატად მხოლოდ იმ შემთხვევაში დარეგისტრირდება, თუ მას სრულყოფილად აქვს წარდგენილი განაცხადი და დოკუმენტები.

14. საკვალიფიკაციო პალატა არ იზიარებს საჩივრის ავტორის მოსაზრებას და განმარტავს, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო განცხადების მიღების ვადის ამოწურვის შემდგომ, განიხილავს შერჩევის პროცედურაში მონაწილე პირთა განცხადებებს და თანდართულ დოკუმენტებს. იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს პირის კანდიდატად რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილებას, თუ იგი აკმაყოფილებს მოსამართლის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და სრულყოფილად აქვს წარდგენილი განცხადება და თანდართული დოკუმენტები. მოცემულ შემთხვევაში კი, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ადმინისტრატორის პორტალზე იძებნება - 2020 წლის 20 ნოემბრის და 2024 წლის 15 თებერვლის თამარ ა--ს ჯანმრთელობის მდგომარეობის დამადასტურებელი ცნობა. შესაბამისად, კანდიდატის მიერ წარდგენილი დოკუმენტები სრულყოფილად ვერ მიიჩნევა.

15. საჩივრის ავტორის ერთ-ერთი პრეტენზიაა ის, რომ იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მისთვის უნდა ეცნობებინა ხარვეზის შესახებ და მიეცა შესაძლებლობა მის გამოსასწორებლად, ამ მოსაზრებას არ იზიარებს საკვალიფიკაციო პალატა, ვინაიდან ადმინისტრატორის პორტალზე საერთოდ არ ჩანდა ატვირთული დოკუმენტი, ასევე - ხარვეზის დადგენის შესაძლებლობას კანონი არ ითვალისწინებს და კანდიდატი ვალდებული იყო, დოკუმენტი, კერძოდ, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა (ფორმა 100) რეგისტრაციის დასრულებამდე წარედგინა იუსტიციის უმაღლეს საბჭოში.

16. საკვალიფიკაციო პალატამ მოცემული საქმის განხილვისას იხელმძღვანელა ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-2, მე-4 პუნქტებით და 36^6 მუხლით და მოცემული ნორმების საფუძველზე მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი

სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენ კანდიდატად დარეგისტრირებაზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის -- თებერვლის №1--- განკარგულების მე-2 პუნქტის უცვლელად დატოვების თაობაზე.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატამ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^3 მუხლის მე-10 პუნქტის ა) ქვეპუნქტით, 36^6 მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8 მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. თ. ა--ის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის -- თებერვლის №1--- განკარგულების მე-2 პუნქტი;
3. საკვალიფიკაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თავმჯდომარე: **გიზო უბილავა**

მოსამართლეები: **მამუკა ვასაძე**

გენადი მაკარიძე